პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 30 ივნისი, 1990 წელი ● № 27 (2904) ● СУББОТА, 30 ИЮНЯ 1990 г.

პოზიცია

## ეროვნულ. ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს

**შენიშვნები და წინადადებები საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციული სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებების შესახებ.**

**პრესაში** გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის პროგრამისა და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებების ღრმად გაცნობა გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ საქართველოს კომპარტია ცდილობს თავი დააღწიოს ათწლეულებში ჩახლართულ არტახებს, რომლებიც საშუალებას არ აძლევდა ქართველ ხალხს რაიმე ეროვნული მიმდინარეობა განევითარებინა, რამეთუ ყოველი ეროვნული ნაციონალიზმად ინათლებოდა.

დღეს, როგორც არასდროს ქართველ ხალხს სჭირდება ერთიანობა, შეკავშირება და ისეთი წინამძღოლი, რომელიც შეძლებს მრავალტანჯულ საქართველოს რეალური სუვერენიტეტის მიღწევას ცხოვრების ყველა სფეროში. თუ საქართველოს კომპარტია ასეთ პასუხისმგებლობას იკისრებს და შესძლებს, ხომ კარგი, თუ არა და უნდა გვეყოს ვაჟკაცობა და ასპარეზი დავუთმოთ სხვას, რამეთუ „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“, მაგრამ თავისუფლებისათვის ბრძოლას კომუნისტები განზე კი არ უნდა განვუდგეთ, არამედ უნდა მივაყრდნოთ „მხარი მხარს, გული გულს“, და ასე ხელიხელჩაკიდებულებმა უნდა ვიზრუნოთ საქართველოს უკეთესი მომავლისათვის, შევინარჩუნოთ სასიქადულო ტრადიციები, ვაჩვენოთ მსოფლიოს, თუ ვისი გორისანი ვართ.

საცოდავია, ის ვინც საქართველოს კომუნისტებში ღირსეულ მამულიშვილებს ვერ ამჩნევს. მოდით ყველა ერთმანეთს გავეჯიბროთ საქართველოს სიყვარულში, მისთვის ერთგულებაში და მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. მაშინ გამოჩნდება თეთრი და შავი.

განა საქართველოს კომუნისტების დამსახურება არაა ისეთი გაბე-

(დასასრული მე-2 გვ-ზე)



**სურათზე:** ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი თამაზ ხუნდაძე ინსტრუქტაჟს ატარებს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ბატალიონის განაწესთან.

**დღეს,** როდესაც რესპუბლიკაში ძალზე გართულდა ოპერატიული მდგომარეობა, სულ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს. ყველგან და ყველაფერში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად თითოეულმა მილიციის მუშაკმა უნდა გამოიჩინოს მაღალი პროფესიულობა და ტაქტი.

## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

**28 ИЮНЯ** состоялось очередное заседание коллегии МВД ГССР.

С информацией о ходе реализации постановления Совета Министров СССР от 4 августа 1987 года «О мерах по дальнейшему упорядочению охраны объектов народного хозяйства и обеспечения их техническими средствами защиты» на заседании выступил начальник Управления охраны МВД ГССР полковник милиции Г. Кварелашвили.

Был рассмотрен вопрос утверждения рабочего плана коллегии министерства на второе полугодие 1990 года, с информацией по которому выступил начальник оргинспекторского отдела МВД ГССР полковник милиции К. Буджиашвили.

На заседании коллегии была также заслушана информация заместителя начальника Следственного управления министерства подполковника милиции Д. Гахокидзе об утверждении списка следователей, выделенных для расследования уголовных дел, возбужденных по фактам организованных преступлений.

## НОВЫЕ ПОДРАЗДЕЛЕНИЯ МИЛИЦИИ

### ФОРМИРУЮТСЯ ЗА СЧЕТ БЮДЖЕТОВ МЕСТНЫХ СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ

**БЫЛО** это в последних числах апреля. Молодой сотрудник Калининского РОВД г. Тбилиси Вахтанг Чинчаладзе вместе с напарником поздней ночью совершали обход обслуживаемой ими территории района. Внезапно около одного из домов по улице Казбегской их внимание привлек странно одетый человек — на нем были милицейские фуражка и китель, все остальное гражданское. Когда сотрудники решили выяснить его личность, незнакомец повел себя агрессивно, попытался оказать сопротивление, но был быстро скручен и доставлен в отделение. Как выяснилось в дальнейшем, он этой ночью с помощью отмычек вскрыл и ограбил стоящую на улице машину, похитив вместе с другими вещами и форменную одежду.

...Когда в Сабурталинский РОВД поступило сообщение о нападении на водителя такси двух неизвестных, ранивших его выстрелом из обреза, в отделе практически не было оперативных работников — все находились на заданиях. На место происшествия выехал милиционер-водитель Георгий Лолашвили. В районе магазина «Голиаф» его машину остановили двое, попросившие подвести в сторону метро «Самгори». Их внешний вид совпадал с приметами напавших на таксиста преступников, к тому же у одного из них под одеждой угадывался предмет, похожий на обрез. Георгий сумел, не вызывая подозрения у них, подъехать к самому зданию отдела милиции, где с помощью товарищей задержал преступников.

Оба эти факта, в целом обычные для повседневной работы милиции и ничем особенным не примечательные, объединяет одно обстоятельство — и Вахтанг, и Георгий — сотрудники недавно созданных в системе УВД Тбилгорисполкома новых подразделений милиции. Порой ее называют муниципальной милицией — по аналогии с зарубежными формированиями — но дело, конечно, не в названии, а в сути—эти подразделения созданы за счет средств местных советов народных депутатов.

Формирование их началось несколько месяцев назад. Резкий рост преступности, осложнение общей оперативной обстановки в республике и ее столице выявили и определенный недостаток сил и средств милиции. А ведь для обеспечения должного уровня правопорядка, профилактики преступности, да и просто спокойствия граждан нужно чтобы сотрудники милиции постоянно, в любое время суток, находились в общественных местах, контролировали обстановку во всех уголках города.

В результате проведенной предварительной работы были достигнуты договоренности с райисполкомами города, которые изыскали необходимые средства. В соответствии с намеченным УВД столицы республики было выделено в общей сложности 3,5 миллиона рублей, за счет чего в каждом отделе были сформированы взводы в составе 25 человек. На этой базе были созданы и новые отделения милиции при Сабурталинском, Ленинском, Заводском и Кировском райотделах милиции.

— Одной из наиболее сложных задач был подбор кадров, достойных звания стражей правопорядка, делалось все возможное, чтобы исключить поступление в милицию случайных людей, — рассказывает начальник политического отдела УВД Тбилгорисполкома майор милиции В. Санадзе. — Мы обратились через прессу, радио и телевидение непосредственно к трудовым коллективам, районным отделам партии и комсомола с просьбой направить к нам своих кандидатов. Основные требования, которые предъявлялись к ним — обязательное среднее образование, служба в армии, должный уровень физподготовки и, конечно, морально-деловые качества, соответствующие будущей специальности. Активно подключились к работе по подбору кадров и наши сотрудники, лично рекомендовавшие многих кандидатов.

Сейчас молодые сотрудники, успешно прошедшие предварительное обучение под контролем опытных работников, используются в основном по линии патрульно-постовой службы, уголовного розыска и в роли участковых инспекторов милиции, участвуют в проведении обходов, рейдов в ночное время, других мероприятиях и добиваются неплохих результатов.

Примеров тому, помимо приведенных выше, немало. Так, при активном участии молодого сотрудника Сабурталинского ГОВД Г. Окруашвили была выявлена и задержана группа преступников в составе пяти человек, совершившая в декабре прошлого года бандитское нападение на квартиру С. Аветиковой и похитившая много ценностей. Благодаря четким действиям сотрудника Кировского РОВД В. Бахтуридзе, для которого служба в милиции стала продолжением семейной традиции, 21 июня был задержан ранее неоднократно судимый Скендер И., нанесший в ходе драки в ресторане «Берикони» ножевые ранения двум жителям Лило.

В каждом отделе сотрудники новых подразделений используются с учетом специфики оперативной обстановки района. Например, в Калининском районе они в основном несут патрульно-постовую службу, ими уже раскрыто 4 уголовных преступления. За успехи в оперативно-служебной деятельности шестеро сотрудников поощрено, а один, упоминавшийся выше В. Чинчаладзе, переведен на должность инспектора по делам несовершеннолетних. В Кировском РОВД создан ряд групп ППС, которые контролируют многие сложные участки в районе площади, улиц Пушкина, Бараташвили, Леселидзе, Абанотубани и т. д. При активном участии молодых сотрудников, работающих по линии уголовного розыска, в последние два месяца выявлено 4 факта наркомании, раскрыто 2 кражи, 2 хищения автомашин, 2 факта телесного повреждения, изъято 4 единицы холодного и огнестрельного оружия.

— Конечно, еще рано говорить о каких-то существенных результатах, тем более, что есть еще немало проблем в обеспечении сотрудников новых подразделений, оснащении их рациями, транспортом, спецсредствами, — говорит начальник УВД Тбилгорисполкома полковник милиции Р. Тушурашвили, — однако, следует отметить, что в немалой степени благодаря пополнению объясняется и наблюдающаяся в последние месяцы определенная стабилизация обстановки в столице республики, а это позволяет с оптимизмом смотреть в будущее.

Надо полагать, что имеющиеся у новых подразделений проблемы будут вскоре решены, и подразделения внесут свой вклад в сокращение преступности, общее оздоровление обстановки в республике и ее столице.

**А. ЦАТУРОВ.**

# ეროვნულ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს

(დასასრული)

დული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიებიდან?

მე მიმაჩნია, რომ განსახილველი პროექტი საკმაოდ გაბედულია, თუმცა მას ამჩნევია „უფროსი ძმის“ პროექტის დუბლირების კვალიც, რაც გამოიხატება ახლა უკვე ისეთი სიტყვების ხშირად ხმარებაში როგორიცაა „ჰუმანური“, „დემოკრატიული“ პლურალიზმი“, „სამართლებრივი“ და ა. შ. თითქოს ჩვენი საზოგადოება დღეისათვის ისეა წამხდარი რომ არც ჰუმანურობა გაგვაჩნია, არც სამართლიანობა და არც არაფერი ადამიანური. უკეთესი იქნებოდა ჩვენი უთავბოლობით ქვეყნის დაქცევა — დაკნინება წარსულისათვის კი არ გადაგვებრალებინა, არამედ მომავლისაკენ მამაპაპათა საფლავების ლოცვა კურთხევით გვევლო და არა მათი საფლავების ლანძღვა გინებით, ძირითადად ვიწონებ და მხარს ვუჭერ პროექტს, მაგრამ მინდა გამოვთქვა რამოდენიმე შენიშვნა და წინადადება.

1. დაკონკრეტებას მოითხოვს პარტიის თანამგრძნობთა ახალი ინსტიტუტი, რომელსაც ითვალისწინებს პროექტის მეორე თავის პირველი ქვეთავის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც თანამგრძნობებს შეუძლიათ აცნობონ თავიანთი სურვილის შესახებ ერთ-ერთ პარტიულ ორგანიზაციას და მათ უფლება აქვთ სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღონ პარტიულ ღონისძიებებში.

ჩემი აზრით უფრო მართებული იქნებოდა ასეთი მოქალაქეებისათვის „თანაგრძნობის“ მაგივრად გვეწოდებინა „მომხრენი“ ან „მხარდამჭერნი“, რამეთუ თანაგრძნობის გამოცხადება სჭირდებათ დაზარალებულებს და მგლოვიარეებს, ხოლო „მომხრე“ ან „მხარდამჭერი“ გამოკვეთილად გამოხატავს პუნქტში ჩადებულ აზრს. გარდა ამისა ეს კატეგორია გარკვეული რეზერვი იქნება კომპარტიის რიგების შევსებისა და არა მისი ჭირისუფალი. მათ ხომ სათათბირო ხმის უფლებაც ენიჭებათ, რომელიც დღეისათვის არსებულ სკკპ წევრობის კანდიდატებს გააჩნდათ.

2. დაზუსტებას მოითხოვს იგივე მე-5 პუნქტიც. ჯერ ერთი რომ პარტიიდან გასვლის კარი ძალიან ღიად მეჩვენება და მეორეც თუკი პარტიაში მიღების შესახებ კრება იღებს გადაწყვეტილებას, გასვლაზე რატომ არ უნდა დავაწესოთ კრების გადაწყვეტილებით განმცხადებლის თხოვნის დაკმაყოფილება? ანდა როგორ გავიგოთ „რის შესახებაც ინფორმაცია უკეთდება პარტიულ კრებას? ვინ აკეთებს ამ ინფორმაციას? განმცხადებელი თუ პარტორგანიზაცია? თუ განმცხადებელი აკეთებს ინფორმაციას მაშინ კრებამ რაიმე გადაწყვეტილება მაინც უნდა მიიღოს, თხოვნის დაკმაყოფილებისა და მისი აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ ყოველგვარი შეზღუდვისა და ზედმეტი აგიტაციის ჩატარების გარეშე: ვინც პარტიასთან ორგანულად არ არის შესისხლხორცებული, მას პარტიაში არაფერი ესაქმება.

3. იგივე თავის მეორე ქვეთავის მერვე პუნქტში ნათქვამია: „მომდინარე მუშაობის საწარმოებლად პარტიული კრება ირჩევს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს 2-3 წლით“... დებულებამ კონკრეტულად უნდა განსაზღვროს 2-3 წლით ბიუროს არჩევნები. დროა შევეშვათ პარტიული ცხოვრების ხუთწლედებზე მორგებას. ჯერ კიდევ ხომ გადაწყვეტილი არაა, თუ რამდენ წელში ერთხელ მოვიწვევთ პარტიის ყრილობებს და ა. შ. რატომ უნდა გახდეს საჭირო ყოველთვის, რომ ზემოდან წამოვიდეს მითითება წელს ორი, შემდგომში სამი წლით არჩევნებზე. მითითების გარეშე კი ზოგან ორი, ზოგან სამი წლით მოხდება არჩევნები, ამას უნდა ვერიდოთ. ჩვენ საკმაოდ გვაქვს იმის მაგალითები, როცა თვითონ წარმოვშობთ პრობლემებს და მერე ვიბრძვით მის აღმოსაფხვრელად.

4. მესამე ქვეთავის მე-2 პუნქტში ვკითხულობთ: „რეგიონალური პარტიული ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა პარტიული კონფერენცია, რომელიც მოიწვევა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების ვადისგასვლამდე ექვსი თვით ადრე მაინც“ ამავეს აწესებს მეოთხე ქვეთავის პირველი პუნქტი.

ჩემთვის მაგალითად გაუგებარია თუ რა აზრია ჩაქსოვილი ამ პუნქტში, რატომ უნდა დაამთხვიონ პარტიულმა ორგანოებმა თავიანთი კონფერენციები ხელისუფლების ორგანოების არჩევნების პერიოდულობას. თუ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე მაინც“ ამავეს აწესებს მეოთხე ქვეთავის პირველი პუნქტი.

ჩემთვის მაგალითად გაუგებარია თუ რა აზრია ჩაქსოვილი ამ პუნქტში, რატომ უნდა დაამთხვიონ პარტიულმა ორგანოებმა თავიანთი კონფერენციები ხელისუფლების ორგანოების არჩევნების პერიოდულობას. თუ ხელისუფლების ორგანოებში კანდიდატთა წარდგენისათვისაა გათვალისწინებული პარტიული კონფერენციები, ხომ შეიძლება მოხდეს, რომ დაინიშნოს ხელისუფლების ორგანოების ვადაზე ადრე არჩევნებიც და როგორღა მოხერხდება პარტიული ორგანოების ექვსი თვით ადრე არჩევნები ვიდრე ხელისუფლებისა?

5. მეოთხე ქვეთავის მე-7 პუნქტში ვკითხულობთ „...ყრილობა ირჩევს პარტიის თავმჯდომარეს და მის ორ მოადგილეს“.

ეს ხომ ზუსტადაა დუბლირებული სკკპ წესდების პროექტიდან? განა ასეა აუცილებელი, რომ საქართველოს კომპარტიის აპარატის სტრუქტურა მოერგოს სკკპ სტრუქტურას? უკეთესი იქნებოდა დაგვეწესებინა, თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის და მოადგილის არჩევნები. ეს გამოკვეთილად დაგვანახებდა, რომ პარტიის თავმჯდომარის სხვადასხვა მიზეზით ადგილზე არ ყოფნის შემთხვევაში პარტიას ყავს მისი შემცვლელი პირი. ამ შემთხვევაში აღარ იქნებოდა აუცილებელი გვცოდნოდა მოადგილეთა შორის ფუნქციონალური მოვალეობები, თუ ორიდან ვინ ითვლება თავმჯდომარის შემცვლელად. ეს კარგი იქნებოდა თვით მოადგილეებისათვისაც, რომ ყველამ თავისი როლი და ადგილი იცოდეს პარტიულ ცხოვრებაში. გარდა ამისა ორმოცმილიონიან და ოთხასიათასიან პარტიას ერთნაირად სჭირდება თავმჯდომარე და მისი ორი მოადგილე?

6. იგივე თავის მე-11 პუნქტში ვკითხულობთ: „... ცენტრალური კომიტეტი ქმნის მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებათა მუდმივ კომისიებს, რომელთა შემადგენლობაშიც ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ერთად შეიძლება შეყვანილი იქნან სხვა კომუნისტებიც, რომლებსაც ამტკიცებს მრჩევლებად“. აქ შეიძლება ჰკვიანური აზრი ვერ მიაწოდო პარტიის ცკ-ს. აჯობებდა მრჩეველთა დამტკიცების მაგივრად გაგვეთვალისწინებინა მრჩეველთა საბჭოს შექმნა, რომლის შემადგენლობის შეცვლა შეიძლებოდა ნებისმიერ დროს სათანადო მუდმივი კომისიის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

7. მეოთხე ქვეთავის მე-18 პუნქტში ვკითხულობთ:

„...აგრეთვე იმ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც ამის აუცილებლობაა მუშაობის ორგანიზაციისა და პარტიული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლის მიზნით, შესაძლებელია დაწესდეს განთავისუფლებულ მუშაკთა საშტატო ერთეულები“.

ასეთმა ბუნდოვანებამ შეიძლება დიდ გაუგებრობამდე მაგვიყვანოს, რადგანაც არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება სრული ობიექტურობით გადაწყვიტო საკითხი გათავისუფლებული მდივნის საშტატო ერთეულის დაწესების შესახებ, რამეთუ ის რაც ზოგიერთს აუცილებლად მიაჩნია, სხვისთვის არავითარ მნიშვნელოვან საკითხს არ წარმოადგენს.

ამ გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, უკეთესი იქნებოდა შეგვენარჩუნებინა ძველი წესი (ყველაფრის უარყოფაც არ შეიძლება) და დაგვეწესებინა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა რაოდენობა, რომლის დროსაც შეიძლებოდა გათავისუფლებული მდივნის საშტატო ერთეულის დაშვება.

ამავე დროს მოკრძალებულად გამოვთქვამ შენიშვნას სიტყვა „გათავისუფლებულის“ მიმართ. უკეთესი იქნებოდა ყველაფრისთვის თავისი სახელი დაგვერქვა და ასეთი ინსტიტუტისათვის გვეწოდებინა „პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხარჯზე მომუშავე მდივანი“. ეს სრულიად გამოხატავდა საქმის არსს, სხვა შემთხვევაში „გათავისუფლებული მდივანი“ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც თავისუფალი პიროვნება, რომელსაც შეუძლია არაფერი გააკეთოს და ხელფასი მიიღოს. ამავე დროს უკეთესი იქნება დებულებაში ჩაიწეროს: „პირველადი პარტიული ორგანიზაციის ხარჯზე მომუშავე მდივნის საშტატო ერთეულის დაწესების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება.

8. მეხუთე ქვეთავის მე-7 პუნქტში ვკითხულობთ:

„...არჩევითი ორგანოები ყოველი ახალი არჩევნებისას უნდა გადახალისდნენ ნახევარი შემადგენლობით მაინც. რესპუბლიკურ პარტიულ კონფერენციას უფლება აქვს გადაახალისონ რესპუბლიკური კომიტეტის შემადგენლობა 1/3-მდე“. კი მაგრამ თუკი ყველა დონეზე გადახალისება უნდა მოხდეს ნახევარი შემადგენლობით, ... რესპუბლიკაში რატომ უნდა გადახალისდეს 1/3-ით? გამოდის რომ რესპუბლიკურ აპარატებში მეტ ამხანაგს უნდა შეინარჩუნოს რბილი სავარძელი.

9. მეექვსე ქვეთავის „შენიშვნა“-ში გათვალისწინებულ საწევროს შეტანის შესაძლებლობას სამ თვეში ერთხელ და ამავე დროს ზოგიერთი კატეგორიის კომუნისტებიდან საწევრო გადასახადის შემცირებას ან მისგან გათავისუფლებას, ჩემი აზრით მხოლოდ დეზორგანიზაციის შემოტანა შეუძლია. თუკი დებულების პირველი პუნქტი ითვალისწინებს რომ პარტიის წევრი შეიძლება იყოს ვინც „...იხდის საწევრო შესატანს“... მაშ ის, ვინც არ იხდის საწევროს შესატანს როგორი წევრი იქნება? ხომ არ აჯობებდა, რომ საწევრო შესატანი ფულადი შემოსავლიდან პირდაპირ დაეკავებინათ მის შემდგომში პარტიის ანგარიშზე გადასარიცხად, ანდა ვისაც პარტიის საწევროს გადახდის საშუალება არა აქვს, ისინი გადაგვეყვანა პარტიის „თანამგრძნობ-მომხრე-მხარდამჭერთა“ კატეგორიაში!

10. ჩემი აზრით პროექტით გათვალისწინებული საწევრო ანარიცხების გაანგარიშების არც ერთი ვარიანტი არაა მისაღები, თუმცა ორივე უფრო პროგრესულია არსებულთან შედარებით, უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია მათი კომბინირებით და ხელახლა ვარიანტით შეგვემუშავებინა საწევრო ანარიცხების გაანგარიშება შემდეგის გათვალისწინებით: 100 მანეთამდე ფულად შემოსავალზე 10 კაპიკი გადასახადი, 100 და 200 მანეთამდე — 20 კაპიკი, ხოლო 200 მანეთზე მეტისათვის 1 პროცენტი.

აქვე გასათვალისწინებელია პარტიული აპარატების და მათში პარტიული სახსრებიდან ხელფასის მიღებათა რაოდენობა, ასევე ისიც, რომ ღია კარებში შეიძლება საკმაოდ დიდი რაოდენობის კომუნისტები, მათ შორის პენსიონერები გავიდნენ.

11. რატომღაც მეჩვენება, რომ სკკპ XXVIII ყრილობიდან გამომდინარე, შეიძლება ჩვენმა პროექტმა არსებითი ცვლილებები განიცადოს. თუ საქართველოს კომუნისტები შესძლებენ თავიანთი პოზიციის და წარმოდგენილი პროექტის დაცვას, ხომ კარგი, თუ არა და ჩემი ხმაც დარჩეს მათ ხმათა შორის ვინაც საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის შექმნის და მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მომხრეა, კომპარტიისა, რომელიც ეროვნულ ინტერესებს ემსახურება და საქართველოს უკეთესი მომავლისათვის იღვაწებს.

**რ. ბრიბალაშვილი,**
**თბილისის შს სამმართველოს ცალკე დანაყოფის მეთაური, მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

---

**НА СОБРАНИЯХ В ПАРТОРГАНИЗАЦИЯХ: ИДЕТ ОБСУЖДЕНИЕ ДОКУМЕНТОВ.**

# ОСВОБОЖДЕННЫЙ ЛИДЕР ИЛИ СОВМЕСТИТЕЛЬ?

**КАКОЙ** быть партии сегодня? Этот вопрос еще и еще раз поднимается в первичных организациях при обсуждении Основных положений программы и организационного и структурного построения Коммунистической партии Грузии, документа, который должен определить место партии в нынешнем и грядущем нашем обществе. Естественно, рассматривается он не в изоляции от общественно-политических и социальных проблем, а наоборот, в тесной взаимосвязи с ними. Так подошли к оценке проекта, основополагающего документа партии, коммунисты Калининского райотдела внутренних дел. На партийном собрании, которое состоялось здесь, высказывались мнения не только по поводу структуры и организационного строения партии, но и о том, какую роль она может и должна взять на себя в общем процессе обновления, оздоровления нашего общества. Сегодня, пожалуй, нигде уже не встретишь такого настроения, что мол, не в первичной решаются вопросы государственного масштаба, а на недосягаемой высоте руководящего аппарата.

В первичной Калининского РОВД с надеждой, что мнение это будет принято во внимание, говорилось о проблемах дальнейшего развития нашей экономики, о рыночной экономике. В основных положениях обсуждаемого документа сказано, что «магистральным путем роста экономического потенциала республики Компартия Грузии считает рыночную экономику...». А какую рыночную экономику предлагает нам сегодня правительство страны? Полемизируя с официальной версией, начальник ОБХСС Т. Маглакелидзе оценил ее несостоятельной, ибо рынок без товаров (а их у нас сегодня нет) существовать не может. Взвинчивая цены на товары, сказал он, государство уподобляется черному рынку, подрывающему и без того не очень стабильные условия существования основной массы населения. Нужны товары, нужен работающий закон о собственности, создающий условия для конкуренции в производстве качественных товаров. Эти вопросы надо решать до того, как переходить на рыночную экономику — таким было мнение коммуниста.

Авторитет Коммунистической партии Грузии. Сегодня сама она делает немало для того, чтобы вернуть себе доверие масс, открыто и честно говорит о собственных ошибках и просчетах, советуется с коммунистами. Вместе с тем, на собрании было сказано о том, что в каких-то вопросах партия ограничивается полуправдой. Такая позиция, по мнению старшего участкового инспектора Ш. Циклаури, недопустима, в частности, в оценке какого бы то ни было факта, связанного с событиями 9 апреля. Почему до сих пор не названы поименно виновники этой трагедии, почему не понесли наказания конкретные лица? Партия должна использовать весь свой авторитет, чтобы народ убедился: да, она дееспособна и стоит на страже интересов народа.

На собрании высказывались также оценки и замечания по ряду положений обсуждаемого документа.

**Э. Пухашвили, инспектор по делам несовершеннолетних:**

— Считаю неправомерным ставить вопрос о повторном приеме в партию. Если справедливо лишили человека звания коммуниста, обратного хода для него быть не должно.

**Б. Нуцубидзе, участковый инспектор:**

— Так, кто хоть раз избирался секретарем первичной партийной организации и добросовестно выполнял свой общественный долг, знает, как нелегко совмещать основную работу с деятельностью партийного вожака. Именно поэтому часто страдает основная работа, а это оборачивается уроном для коллектива. А если на посту секретаря человек остается не год, а два и даже два срока — четыре года? Не сомневаюсь, что полноценно выполнять обязанности секретаря он не может, если это не освобожденный лидер. Выход? Или узаконить статус освобожденного секретаря первичной партийной организации, или ежегодно переизбирать коммуниста на этом посту, чтобы не было затяжного пренебрежения главными служебными обязанностями.

**А. Джинчарашвили, старший участковый испектор:**

— Все мы знаем, что в обществе сейчас идет полемика по поводу того, следует ли деполитизировать административные органы. Мне кажется, на этот счет должна быть высказана четкая позиция партии в основополагающих ее документах. Разночтений в таких вопросах быть, на мой взгляд, не должно.

**Н. МИКЕЛАДЗЕ.**
**(Газ. «Вечерний Тбилиси» от 22 июня 1990 г.).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 30 ივნისი გამომგონებლისა და რაციონალიზატორის საკავშირ...

**ხელმარჯვე, გამომგონებლის ფანტაზიით დაჯილდოებულ კაცზე იტყვიან „ოქროს ხელები“ აქვსო. ისინი ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და იღწვიან, მაგრამ წლობით გაუკუღმართებული ცხოვრების წესმა, შურმა და ბიუროკრატიამ გზა დაუხშეს ბევრი მათგანის წარმოჩენას, მათი ნამოღვაწარის ხალხის სამსახურში ჩაყენებას. ისეც მომხდარა საზღვარგარეთ რომელიმე ახალი გამოგონების შესახებ შეგვიტყვია და... გული დაგვწყვეტია რადგან სწორედ ამ „სიახლეს“ რამოდენიმე წლით ადრე ჩვენი სამინისტროების და სამმართველოების კაბინეტ-დერეფნებში გზა ვერ უპოვნია და ბიუროკრატიულ ლაბირინთებში ჩაკარგულა. ახლა სხვა დროა. თუმცა „ძველი აპარატი“ ისევ ინერციით „მოძრაობს“, რაშიც მკითხველი კიდევ ერთი (უფრო სწორედ ორი) საინტერესო გამოგონების მოკლე ისტორიის გაცნობით დარწმუნდება, მითუმეტეს, რომ მისი ავტორია საგარეჯოს შს რაიგანყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორი, მილიციის მაიორი ზაური ბექაშვილი.**

# „ოქროსხელებიანი“ კაცი

**ბატონი** ზაური კახელი გლეხის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა. მან ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა შრომის სიყვარული, რისთვისაც მას არც ქალაქში არ უღალატია — ტექნიკის მოყვარული ახალგაზრდა სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში მუშაობს მღარავად. მალე მოწინავე მუშა შინაგან საქმეთა ორგანოებში იწყებს სამსახურს. პარალელურად ამთავრებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს. 1986 წლიდან კი საგარეჯოში მსახურობს, სადაც მას ყველა იცნობს და პატივს სცემს.

პატივს სცემენ ალბათ იმიტომაც, რომ სამი შვილის მამა თავისუფალ დროს (თუკი აქვს საერთოდ მილიციის მუშაკს თავისუფალი დრო) სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებათა სრულყოფასა და ახლის დანერგვის სამუშაოებს უთმობს. ათიოდე წელია იგი მასავით ხელმარჯვე კაცთან თემურ აროშვილთან მეგობრობს. ერთობლივი ძალებით მათ 1982 წელს შექმნეს მიკროტრაქტორი, რომელიც გამოიყენება მებაღეობა-მებოსტნეობაში, მევენახეობაში, სათბურებსა და სანერგე მეურნეობებში, სადაც შეუძლია შეასრულოს 15 სახის ოპერაცია. აღნიშნული ტრაქტორი იმავე წელს შეამოწმეს მაშინდელი სოფლის მეურნეობის სამინისტროს „საქსახკომსოფტექნიკის“ წარმომადგენლებმა და რამოდენიმე კომისიამ. კომპეტენტური პირების მიერ ხელმოწერილ დასკვნაში აღნიშნულია, რომ თვითნაკეთი ტრაქტორი სამუშაოებს ასრულებს აგროტექნიკური პირობების დაცვით და კომისია რეკომენდაციას აძლევს აღნიშნულ გამოგონებას, რათა იგი გადაეცეს საკონსტრუქტორო-საპროექტო ინსტიტუტს და შემდგომი კონსტრუქციული დახვეწის შემდეგ დამზადებული იქნას ქარხნული წესით. ამასთან ერთად მიკროტრაქტორი გამოცადეს საგარეჯოს მევენახეობის მეურნეობაში 5 ჰექტარ ფართობზე. ერთი ჰექტარის დამუშავებას ტრაქტორმა მოანდომა 6 საათი. ამ სამუშაოების შესრულებისათვის კი საჭირო იყო 20 კაც-დღე (8 საათიანი სამუშაო დღის მანძილზე ტრაქტორმა შეცვალა 26 მუშა). სახეზეა ორიგინალური მიკროტრაქტორი, რომლის გამოყენება სახელმწიფო და პირად მეურნეობებში დიდ ეფექტს იძლევა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ თვითნაკეთი ტრაქტორი დამზადებულია სერიული წარმოების აგრეგატებისა და კვანძებისაგან, რომლებშიც შეტანილია რაციონალიზატორული ცვლილებები. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ იგი არც ისე ძვირი დაუჯდება მწარმოებელსა და მომხმარებელს. მიუხედავად ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილისა აგრეგატის წარმოებაში დანერგვა წლობით ჭიანურდება. ასეთივე ბედი ეწია ზ. ბექაშვილის მეორე გამოგონებასაც.

როგორც ცნობილია თვალისმომჭრელი სინათლისაგან დასაცავად გამოიყენება შუქფილტრიანი სათვალეები, რომელსაც აქვს ოპტიკური ელემენტები (შუშა ან პლასტმასა). როგორც გამომგონებელმა აგვიხსნა თითოეულ მათგანში არის გამჭვირვალე და ნახევრადგამჭვირვალე მონაკვეთები. ამასთან თითოეულ ელემენტში ნახევრადგამჭვირვალე მონაკვეთი განლაგებულია მის ზემოთა ზონაში, გამჭვირვალე კი ქვემო ზონაში. მაგრამ ასეთი განლაგება არაეფექტურია მძღოლებისათვის ღამით მოძრაობისას, რადგან გზა ცუდად ჩანს და საპირისპირო მიმართულებით მომავალი ავტომანქანების „დამაბრმავებელი ეფექტიც“ გამორიცხული არ არის. ამის თავიდან ასაცილებლად ზ. ბექაშვილის სათვალეებში თითოეული ოპტიკური ელემენტის ნახევრადგამ-

მჭირვ...
ლია ს...
რეზე, ...
თი გზის ...
ნაკვეთების
თანაბარია. ყ...
ავარიული სიტუ...
ნის საშიშროებას,
მოძრაობისას ეხსნება
დატვირთვები, რასაც იწვ...
ბრმავების ეფექტი“. ავტორი
რით (გამოგონების თანაავტორ...
არიან ზ. ბექაშვილის ვაჟები) ა...
ნიშნული გამოგონება ჩვეულებრი...
მზისგან დამცველ სათვალეებზე
ძვირი არ დაჯდება.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა გამოგონებებმა დღის სინათლე ვერ ნახეს და ხალხის სამსახურში ვერ ჩადგნენ ბატონი ზაური განაგრძობს მუშაობას ახალი იდეების განსახორციელებლად. იგი ოპტიმისტია და სწამს, რომ შრომა ფუჭად არ ჩაივლის.

**გ. თათეიშვილი.**

**რედაქციისაგან: ვფიქრობთ ახლა მაინც უნდა დაუფასდეს ნიჭიერ კაცს თავისი შრომა.**

**იმედს გამოვთქვამთ, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელობა თანადგომას გაუწევს ზ. ბექაშვილს, რათა მისმა იდეებმა ხორცი შეისხას.**



**სურათზე:** ზ. ბექაშვილი (მარცხნივ) მიკროტრაქტორის გამოცდისას.

из...

▲ 30 м...
лисско...
ный пре...
1930 г. ...
ТЛТАП-3, ...
розой отс...
ную за ним ...
кси». Приняты...
«горячим сле...
ками Ленинског...
держан Малхаз ...
инвалид 3-й гру...
работы которого ...
Автомашина в ...
возвращена по ...
ности.

▲ 26 июня сотру... ОУР Заводского РО... Тбилиси задержан Ко... житель Зугдидского р... у которого изъято 15,6 ... рихуаны, место работы которого уточняется.

▲ 27 июня сотрудниками ОБХСС Первомайского РОВД г. Тбилиси в результате проверки финансово-хозяйственной деятельности центрального колхозного рынка уличены главный экономист Лаура С. и главный бухгалтер Ольга Ч., которые путем приписок по основным показателям доходов рынка, выдали его работникам в виде премии 154.000 рублей.

# РЕЗУЛЬТАТЫ МОГЛИ БЫТЬ ЛУЧШЕ

**В ПОСЛЕДНЕЕ** время райорганам г. Тбилиси приходится работать в условиях определенной дестабилизации обстановки, роста преступности, вызванных активизацией общественно-политических процессов.

— Анализируя обстановку в районе за истекшие шесть месяцев, — говорит заместитель начальника Октябрьского РОВД майор милиции Г. Кешелашвили, — надо отметить небольшой рост преступлений, совершаемых по линии уголовного розыска, по сравнению с этим же периодом прошлого года, в частности, угонов автомобилей, квартирных краж и др.

Коллективом отдела, всеми его службами принимаются меры по своевременному раскрытию данных преступлений. Так, благодаря четкому проведению оперативно - розыскных мероприятий в июне месяце во время проведенных профилактических рейдов, был задержан угонщик автомашины Самвел А., который, находясь в нетрезвом состоянии, угнал автомашину «Жигули» с проспекта Д. Агмашенебели и совершил аварию у моста им. Бараташвили, в результате чего были повреждены три автомашины. Угонщик скрылся, однако оперативной группой в составе участкового инспектора майора милиции Г. Татуашвили и оперуполномоченного ОУР капитана милиции Г. Кавлашвили угонщик был вскоре задержан.

Одной из форм борьбы с кражами является регулярное патрулирование обслуживаемой территории силами участковых инспекторов, других сотрудников отдела, что позволяет раскрывать преступления по «горячим следам». Именно так 11 июня на площади Марджанишвили в хлебобулочном магазине был задержан ранее дважды судимый Сейран М., 1960 года рождения, инвалид II группы, совершивший карманную кражу. Во время проведения профилактического рейда на площади Пиросмани сотрудниками Октябрьского РОВД была проверена автомашина «Москвич», принадлежавшая гр-ну Т. Чарикашвили. У сидящего рядом с водителем рабочего кооператива «Сантехник» Рамаза Ц. в кармане было обнаружено 110 г наркотического вещества марихуана.

Группой в составе начальника ОУР майора милиции Л. Чичуа, старшего оперуполномоченного ОУР майора милиции И. Цихелашвили, старшего участкового инспектора майора милиции В. Твалавадзе, участкового инспектора лейтенанта милиции Г. Вардзелашвили в период проведенного профилактического рейда 26 июня нынешнего года, в котором принимали участие также 40 сотрудников отдела, было изъято 27 ножей и 3 топора. Для выявления личности в РОВД были доставлены 11 человек, было выявлено 3 факта нарушения паспортного режима. Во время рейда по линии госавтоинспекции были задержаны 3 человека, которые управляли автомобилями в нетрезвом состоянии, а также были оштрафованы 9 человек за другие нарушения правил дорожного движения.

Резервы у наших работников для дальнейшего совершенствования работы есть, но нужна и широкая помощь общественности. Только совместные усилия позволят поставить на пути любителей легкой наживы надежный заслон.

Записал **А. МАЛАЯНЦ.**

# ახალი გაზეთი



**დღეს** დროის მოთხოვნის კარნახით ყოველდღიურად იმდენი ბეჭდვითი ორგანო და გაზეთი იბადება, რომ არავის განცვიფრებას აღარ იწვევს. თვით სამართალდამცავ ორგანოებსაც კი რამოდენიმე ასეთი წარმომჩენელი გაუჩნდა იურისტთა კავშირში თუ შინაგან საქმეთა სამინისტროში რეგიონალურ დანაყოფებში თუ პატარა ქალაქებში. იმედია ყოველი მათგანი თავის გარკვეულ წვლილს შეიტანს ჩვენი ყველას სადღეისო სატკივარის მოსაგვარებლად.

ვარდობისთვეს გამოვიდა გაზეთ „ქუთაისისა“ და ქუთაისის ადმინისტრაციული ორგანოების ერთობლივი გამოშვება „ბექთარი“.

გაზეთის მოწინავე სტატიაში თვალნათლივ არის წარმოჩენილი გაზეთის კრედო, მისი სადღეისო პრობლემები და სამომავლო გეგმები. „ბექთარის“ მიზანი არ არის დამნაშავის წინააღმდეგ ბრძოლა. მის ფეხქვეშ ცეცხლის დანთება. დამნაშავედ არავინ იბადება, დამნაშავეს ცხოვრება ზრდის და ამიტომ „ბექთარის“ უპირველესი ამოცანა იქნება დამნაშავეობისა და მისი ხელშემწყობი იმ გარემოს წინააღმდეგ ბრძოლა, საზოგადოებას წლობით რომ აშორებს ასობით და ათასობით სალსალამათ ისეთ ადამიანს, რომელსაც ამავე საზოგადოებისათვის მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია?!...“

სხვადასხვა სტატიებს შორის აღსანიშნავია სტატია „შეტევა — ერთიანი ფრონტით!“ ვეცნობით იმ შემაშფოთებელ სიტუაციას, რომელიც შექმნილი არის როგორც ქალაქში ასევე მთელ ქვეყნებში ორგანიზებული დამნაშავეობის ზრდით. ამ სტატიაშიც გაზეთს თავისი მკაცრი, არა ორაზროვანი, კომპეტენტური პოზიცია უჭირავს. იგი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოებისა და მოსახლეობის შეხედულებებს ამ მანკიერ მოვლენებთან მიმართებით და ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ მოსახლეობის ანკეტურ გამოკითხვას აღნიშნულ პრობლემაზე სულ მალე შესთავაზებს მკითხველს.

სათაურით „ანგარიშს აბარებენ“, ქალაქ ქუთაისის პროკურატურის პრეს-ჯგუფი, აქვეყნებს სტატიას სადაც სამართალდამცავ ორგანოების წარმომადგენელთა ჯგუფი ქალაქის პროკურორის ხელმძღვანელობით ანგარიშს აბარებს ქალაქის შრომით კოლექტივებს.

გაზეთის პირველი ნომრისდა მიუხედავად, გაზეთი მაღალ პროფესიულ დონეზე არის შესრულებული.

გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ კოლექტივი ულოცავს „ბექთარის“ გამომცემელთ ახალი ბეჭდვითი ორგანოს დაბადებას და უსურვებს თავისი მახვილი სიტყვა ეთქვას საზოგადოების საკეთილდღეო საქმეში.

# ...ᲘᲡ ...ᲐᲡ ...ᲫᲚᲕᲜᲐ

...ო
...ომ-
...აბაში.
...ლებდ-
...ემის, ქ.
...გან საქმე-
...ლმწიფო უშ-
...მუშაკები. ტუ-
...ორებმა ყველა
...ონისძიება ჩა-
...ორგანიზაციულ

...ოს, მათ ეს ამოცანა
...ასრულეს. შთამბეჭ-

...ი იყო ტურნირის საზეიმო გახ-
..., სადაც აღმოსავლურ ორთა-
...რძოლების ცნობილ ოსტატებთან
ერთად მონაწილეობას იღებდნენ სამ-
ხედრო-პატრიოტული კლუბის „ედ-
ელვაისის" ახალგაზრდა წარმომა-
დგენლები.

ტურნირი ორ ტურად მიმდინა-
რეობდა:

I. — ხელჩართული ბრძოლის ილეთების დემონსტრირება.

II. — წონითი კატეგორიების ორთაბრძოლები.

ტურნირის გამარჯვებული გახდა პირველი მაისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი დ. ხუციშვილი, რომელმაც 141 ქულა დააგროვა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ მილიციის კაპიტანი დ. კურატიშვილი, შ/ს რიგითი ს. სამარჯიევი, პრაპორშიკი დ. სულიკაშვილი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი დ. ხუციშვილი, მილიციის სერჟანტი ქ. კალმახელიძე, უფროსი ლეიტენანტი ა. იაკოვლევი.

ტურნირის გამარჯვებულებს გადაეცათ საჩუქრები და პრიზები, რომლებიც დააწესეს სამინისტროს პოლიტგანყოფილებამ და სს სამართლის სამძებროს სამმართველომ. გამარჯვებულებს პრიზები გადასცეს დაღუპული ფილარეტ ხვისტანის ქვრივმა, შვილებმა და ძმამ.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტურნირმა გვიჩვენა თუ რა პოპულარულია ხელჩართული ბრძოლა უწყებების თანამშრომლებთა შორის და მისი პოპულარიზაციაც ჩვენს ხელშია. ამიტომაც გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ეს ტურნირი გავხადოთ ტრადიციული და მოვიწვიოთ გუნდები სხვადასხვა რესპუბლიკებიდან.

**ზ. ბალიაროვი,**

**„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ხელჩართული ბრძოლის ცენტრის უფროსი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.**

# НА СТРЕЛЬБИЩЕ В ЭЩЕРАХ





**ЗДЕСЬ** на крупном всесоюзном стрельбище Грузсовета «Динамо» завершился лично-командный чемпионат МВД Грузии по стрельбе из боевого оружия.

На старт вышли 20 лучших стрелков из сборных команд МВД Аджарии и Абхазии, УВД Юго-Осетии и Тбилиси, ГУВДТ и команда Тбилисского факультета Московской высшей школы милиции МВД СССР. Первое место занял коллектив МВД Абхазской АССР, на втором месте сотрудники Грузинского управления внутренних дел на транспорте, а третье место заняла команда УВД г. Тбилиси.

Среди мужчин в двух упражнениях ПМ-6 и ПМ-3 отличился член сборной команды МВД СССР, рекордсмен МВД СССР, милиционер подразделения ППС УВД г. Сухуми старший сержант милиции мастер спорта международного класса В. Халецкий, став двукратным чемпионом, а у женщин отличилась воспитательница приемника-распределителя для несовершеннолетних МВД Абхазской АССР кандидат в мастера спорта капитан милиции Л. Тарахчян, завоевавшая две золотые награды. Кроме выше названных призерами стали: среди мужчин — инспектор ОПО УВД Юго-Осетии капитан внутренней службы Г. Мчедлидзе, старшина милиции Ю. Мамедов (УВД г. Тбилиси), майор внутренней службы Ю. Быков (МВД Абхазской АССР) и капитан милиции Ш. Маглакелидзе (ГУВДТ); среди женщин — старший лейтенант милиции М. Херхеулидзе (ГУВДТ), лейтенант милиции Н. Кахидзе (УВД г. Тбилиси), сержант милиции Л. Нодия (УВД г. Тбилиси).

**А. МАЛАЦИДЗЕ,**
**судья Всесоюзной категории.**

ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

# ИСПОЛЬЗОВАНИЕ ЭВМ

## ДЛЯ АНАЛИЗА СОСТОЯНИЯ РЕЦИДИВНОЙ ПРЕСТУПНОСТИ В УВД БРЯНСКОГО ОБЛИСПОЛКОМА

**В ЦЕЛЯХ** предупреждения рецидивной преступности в УВД Брянского облисполкома организован автоматизированный учет и анализ состояния рецидивной преступности в подразделениях исправительно-трудовых учреждений.

На каждое лицо, ранее судимое за преступление, заводится учетная карточка, в которой отражены данные, содержащие социальные, экономические и психологические характеристики осужденного:

— место жительства;
— количество судимостей;
— возраст, образование;
— из какого учреждения ранее освобождался;
— срок пребывания в ИТУ по прошлой судимости;
— основание предыдущего освобождения;
— семейное положение;
— состоял ли и на каком виде учета;
— отношение к алкоголю и наркотикам;
— время устройства на работу после предыдущего освобождения;
— оказана ли кем-нибудь помощь в трудоустройстве;
— время пребывания на свободе после отбытия последнего наказания;
— где совершил преступление (в ИТУ, на свободе и т. д.);
— к какой категории осужденных причислял себя, отбывая наказание ранее, а какой — в настоящее время;
— чем занимался до ареста (работал, учился);
— признан особо опасным рецидивистом или нет;
— статьи предыдущей и настоящей судимости;
— причины, мотивы последнего преступления;
— влияние на субъекты предыдущего наказания, по его оценке;
— дата постановки на учет.

Получаемая информация обрабатывается с помощью ЭВМ и позволяет иметь полные и объективные данные, отражающие состояние борьбы с рецидивной преступностью как в целом по области, так и по отдельным исправительно-трудовым учреждениям, определять приоритетные направления в работе с данной категорией осужденных для всех заинтересованных служб.

Анализ проводится раз в полугодие. Рассчитываются данные, характеризующие уровень преступности в год освобождения, а также через три года после освобождения. Использование этой методики позволило УВД Брянского облисполкома активизировать работу по предупреждению рецидивной преступности, сократить процент рецидива.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ**

# ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ

...ოპერატიული სურათი. 1976–1982 წლებში საქართველოში მოქმედებდა კარგად შეიარაღებული, ორგანიზებული ბანდა. ბანდის შემადგენლობა — სხვადასხვა მძიმე დანაშაულისათვის არაერთხელ ნასამართლევი პირები. საქმიანობა. სისტემატიურად ესხმოდნენ თავს საცხოვრებელ ბინებს. ადამიანებს სიკვდილის მუქარითა და წამებით აიძულებდნენ მიეცათ ფული და ძვირფასეულობა, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში იტაცებდნენ მოქალაქეებს, გაჰყავდათ ქალაქგარეთ, უკაცრიელ ადგილებში და აიძულებდნენ უშუალოდ, ან შუამავლის მეშვეობით დიდი ოდენობის თანხით დაეხსნათ სიცოცხლე. ბანდა თბილისში ჩამოყალიბდა. მისი მოთავე ფაიკა ფხაკაძე გახლდათ. ჯერ ორნი იყვნენ. რამდენიმე დღის შემდეგ — ხუთნი გახდნენ. სულ მალე მათთვის ცნობილი გახდა, რომ ანალოგიური ბანდა შეიქმნა ქუთაისშიც. მათაც იგივე „ხელწერა" და მეთოდი გააჩნდათ. აუცილებლობამ განაპირობა: ბანდები უნდა გაერთიანებულიყვნენ! მოლაპარაკებასა და საბოლოო შეთანხმებას რამდენიმე თვე მოუნდა. ფუნქციები შემდეგნაირად განაწილდა: ბანდის ხელმძღვანელი — ფაიკა. მოქმედების თავისუფლებისათვის იგი მილიციის ოფიცრის ფორმას ჩაიცვამს „ოპერაციების" დროს... თამაზ კირთაძე — ოპერაციებს „გარედან" მიხედავს. მას მეთვალყურის ფუნქცია დაეკისრა, როგორც მანქანის მფლობელს. მოქალაქეთა „გათიშვა" მათი გატაცების მიზნით დაევალა ფიზიკურად ძლიერმა „ხუცომ"...

ბანდის თავკაცები და დანაშაულის მონაწილენი ე. წ. „საქმის მიმცემების" მეშვეობით აგროვებდნენ ცნობებს მატერიალურად შეძლებულ პირებზე. მხოლოდ ამის შემდეგ დგებოდა ოჯახებზე თავდასხმის ან გატაცების გეგმა.

რომან გვენცაძე. ყოველი ყაჩაღური გამოხდომა, რა შედეგითაც არ უნდა დამთავრდეს, ყოველთვის ფართო საზოგადოების შეშფოთებას იწვევს. სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობა მხოლოდ აშკარად გამოხატული პროტესტით იფარგლება მუდამ. ეს ზედაპირული ემოცია გალიზიანებას იწვევს. აბა სცადე და რომელიმე ამოიყენე გვერდში გარეწრებთან ბრძოლის დროს!.. განზე გდგიდგება, თითქოს ეს მას არ ეხება. ანდა უფრო მნიშვნელოვანი საქმისათვისაა დაკავებული. შეიძლება ამას იმ უძრაობის წლებში წამობიბინებულმა ნეგატიურმა მოვლენებმაც შეუწყო ხელი ალბათ. იქნებ სწორედ ამან გამოიწვია ბანდიტთა თარეში? ასე იყო თუ ისე, მათ არსებობას უნდა დასმოდა ბოლო წერტილი. თბილისის სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკები სწორ კვალზე იდგნენ... ცხელი იყო ეს კვალი და ლოტკინის გორაზე მდებარე „ქავთარაძის ბაღისაკენ" მიემართებოდა. აქ ბანდის წევრებს მორიგი თავყრილობა ჰქონდათ. მზადდებოდა კიდევ ერთი თავდასხმა. „საქმე" რუსთავიდან წამოვიდა. საქმის მიმცემი კი იქაური მკვიდრი ლაშა შეშაბერიძე გახლდათ. თავდასხმის ობიექტი: ერთ-ერთი სამმართველოს გაერთიანების უფროსი გოდერძი კოპაძე.

იდგა 1981 წლის 13 დეკემბერი.

იმ დილით თამაზ კირთაძემ ძლივს აამუშავა მანქანა.

მერე შუა გზიდან დააპირა დაბრუნება — ვებერთელა შავმა კატამ გადაჭრა ქუჩა. მაინც გააგრძელეს გზა რუსთავში საბოლოოდ ინსტრუქტაჟისათვის გამზადებული შეშაბერიძე დახვდათ. „ობიექტის" პოვნა არ მოხერხდა. სალამომდე უთვალთვალეს მის სამუშაო ადგილს.

— რა რიცხვია დღეს? — იკითხა მოულოდნელად ფაიკამ.

— აბა რა ვიცი, უხალისოდ გამოეპასუხა „ხუცო".

— ცამეტია! — თქვა „კატამ".

— მეც არ გამიკვირდა? — ხმაურით ამოისუნთქა კირთაძემ, — თარსი რიცხვია, არ უნდა წამოვსულიყავით!

...კოპაძის „აყვანა" რვა დღის შემდეგ მოხერხდა. საღამოს ცხრა საათისათვის, როცა გაერთიანების უფროსი მეგობრობის გამზირით ბრუნდებოდა შინ, მისი მანქანა მილიციის თანამშრომლებმა გააჩერეს... მერე ყველაფერი მრავალჯერ ნაცადი სცენარით წარიმართა. უკაცრიელი გარეუბანი. ტყისპირი. მუქარა: იძლევი ასი ათას მანეთს? კოპაძის უარს რევოლვერის ტარის ჩარტყმა მოსდევს. სახე სისხლით ილებება. „რაღას ვუცდით. გავასაღოთ. მოვრჩეთ ამ საქმეს!" ისმის საბოლოო განაჩენი. კოპაძის მუდარას ოცდაათი ათასი მანეთის სარჩული უდევს, ბანდის წევრები ხვდებიან, რომ მას მეტის გადახდა არ შეუძლია. კარგი, იყოს ოცდაათი ათასი! — გაიღეს მოწყალება. მაგრამ როგორ უნდა მივიღოთ ეს ფული? დაასახელეს შუაკაცი.

კოპაძე ახლობელთა ჩამოთვლას იწყებს.

ეგ — არა, ეგ — არა... არ გვაწყობს.. ეგ — არა... აბა, არ ვიცი, რა გითხრათ!... — დაბნეული გამოიყურება „სიკვდილმისჯილი".

— ჩვენ გვეგულება ერთი კაცი... ოღონდ არ ვიცით აქ არის თუ არა.. თუ აქაა, ვთხოვთ რომ შუამდგომლად დაგვიდგეს...

ეს „ერთი კაცი" მოშორებით მდგარ კირთაძის მანქანაში ზის და სიგარეტს აბოლებს.

— მოვიყვანოთ? — უცებ ნელდება მრისხანე ტონი.

კოპაძე თავს უქნევს.

დადგა ინსცენირების გადამწყვეტი მომენტი, კირთაძის მანქანა რუსთავისაკენ მიჰქრის. შეშაბერიძე იცვამს პიჟამოს, — უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს პირდაპირ საწოლიდან წამოიყვანეს.!

ეფექტი სასურველი აღმოჩნდა: კოპაძემ უმალ დათქვა ფულის გადაცემის ვადა.

თბილისის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლები თითქმის სამი წელიწადი ელოდნენ ამ წუთს... მაგრამ მძარცველთა დაკავების დროს მოხდა ისე, რომ... ფაიკა არ აღმოჩნდა მათ შორის...

რომან გვენცაძე. მხოლოდ მესამე კვირას მოვაგენი ფაიკას ადგილსამყოფელს. ინფორმაცია მქონდა — თბილისის გარეუბანში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახში წვეულებაზე უნდა ყოფილიყო. სახლი წინდაწინ დავზვერე. ალყაზე და რაიმე ოპერატიულ ღონისძიებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ერთი ზედმეტი მოძრაობა და უმალ გავიშიფრებოდით. ჩემს თავს ყოველთვის ვარლამ შადურის მოწაფედ ვთვლიდი. არ ვაზვიადებ — მთელს ჩვენს ქვეყანაში თითზე ჩამოსათვლელადაც არ მეგულება მისებრ გამჭრიახი, მცოდნე და უშიშარი ჩეკისტი. სწორედ მისგან მახსოვდა სისასტიკით განთქმულ ბანდიტ ხუჩბაროვთან უიარაღოდ მისვლის ამბავი, რა იქნება რომ... — ამეტორტიალა ეს უცნაური სურვილი. „ვცდი". და მარტოდმარტო გავემართე შეგულებული სახლისაკენ.

აი, ეზო.

გრძელი ტალავერი.

ტალავერის ბოლოს პატარა ბიჭები ბატკანს ქნიან.

თუხთუხებს ვეება ქვაბი.

სარდაფიდან ბერიკაცი გამოვიდა.

თვალები უპრიალებს. ლოყებზე სიწითლე გადაკრავს. ღვინო მოაქვს დოქით... მძიმეა დოქი. ქანჯალებს ბერიკაცი.

დაინახა რომანი.

— მობრძანდით ბატონო!

რომანი მაგრადართმევს ხელს.

ბერიკაცმა თითქოს იცნო და ვერც იცნო. თავიდან ფეხებამდე ათვალიერებს. მაგრამ იხტიბარს არ იტეხს.

— როგორაა საქმე? — იღიმება რომანი, — უჩემოდ ქეიფობთ?

— რათა უშენოდ! მობრძანდით, გეთაყვა! მობრძანდით!

— ფაიკა თუ სვამს? — ისე თითქოს სხვათაშორის იკითხა რომანმა.

— აბაა?! — ყინჩად მოიგდო მხარზე დოქი ბერიკაცმა წაბარბაცდა.

რომანმა ხელი შეაშველა.

— მომეცი!

**(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" №№ 19-27.

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარა ულის 29. უე 00337